

**სვანური და მეგრულ-ლაზური  
მეტყველებების საერთო  
ძირ-ფუძეთა საკითხისათვის  
ON THE ISSUE  
OF COMMON ROOTS AND  
STEMS OF SVAN AND MEGRELIAN-LAZ**

**რევაზ შეროზია**

ზუგდიდის შოთა მესხიას  
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ზუგდიდი. საქართველო

**Revaz Sherozia**

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi  
Zugdidi. Georgia

**ABSTRACT**

In Svan and Megrelian-Laz, several of such roots and stems were revealed that are common for both of them. Besides, a part of the Svan forms has remained unnoticed by scholars working on etymological materials. The present paper explores such lexical units.

It is not unusual that the forms typical to Svan are not found in the works in the field of etymology. Such examples are as follows: literary Georgian **ṭqav**: Megrelian-Laz **ṭqeb / ṭkeb / ṭeb**. No Svan stem **ṭqebera** (“winter shoes made from raw leather“) is specified. In addition, literary Georgian **m̄cuisi** : Megrelian-Laz **čišapa** (pursuing, catching up), however, the Svan **esčiš** (“he/she is following someone, is pursuing someone“) is missing. **car / cer** root is contrasted only to the Megrelian-Laz **cir / cor** variants, leaving the Svan form **heciri** unspecified. Similar situation is in **čer / čris** and **čkir** forms. The Svan **hečkuri** is missing. **kec** and **kič** variants are specified without their Svan counterpart **iķči / iķiči**, etc.

The relevant materials are to be identified and expanded to the extent possible. The study of the Svan material will reveal many cases interesting for the history of the Kartvelian language.

**საკვანძო სიტყვები:** ეტიმოლოგიური კვლევები, საერთოქართველური ძირ-ფუძეები, ქართველური ლექსიკა

**Keywords:** Etymological studies, common Georgian roots, Kartvelian vocabulary.

სვანურ და მეგრულ-ლაზურ ძირ-ფუძეთა ლექსიკონზე მუშაობის პროცესში არაერთი ძირ-ფუძე გამოვლინდა, რომლებიც სტრუქტურული და შინაარსობრივი მახასიათებლებით საერთოა ორივე მეტყველებისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში სემანტიკური სხვაობა სურათს ვერ ცვლის (ი ბ უ რ დ ე ნ ი „ზელს, ფშენის“ : ი ბ უ რ დ ო ნ უ „ბოდილობს, ბურდავს გასაკეთებელს“; მ ი მ ჯ ე „მოკეთე“ : მ ი ნ ჯ ე „პატრონი“; წ კ უ რ უ (ლ) „ჭუჭრუტანა“ : წ კ უ რ უ ა „თვალის მოხუჭვა, მოწკურვა“...). ამასთან, სვანურ ფორმათა გარკვეული ნაწილი შეუმჩნეველი დარჩა ეტიმოლოგიურ მასალაზე მომუშავეთათვის. ეს ფაქტი შესაძლებელია ორგვარად აიხსნას: ან სათანადო ფორმები ვერ დაფიქსირდა, ან “მეგრულიდან ნასესხებ” ერთეულად იქნა მიჩნეული და ამის აღნიშვნა საჭიროდ არ ჩათვალეს.

სტატიაში გავანალიზებთ ორი რიგის მაგალითებს:

1. როცა შესადარებელ ძირებთან არ ჩანს სვანური მასალა;

2. როცა სვანური ფუძე მეგრულ-ლაზურიდან ნასესხობად განიხილება, რისი გაზიარება გამართლებული ვერ იქნება ორი მიზეზის გამო: ა) სისტემის შიგნით შეიძლება გვქონდეს მხოლოდ საერთო ან მსგავსი მასალა (ერთ ხეზე შეიძლება ორი ჯიშის ვაშლი მიიღოს, მაგრამ ვერ გაახარებთ ვაშლს და მსხალს...); ბ) თუ ჩვენ რომელიმე ქართველურ ლექსემას (ან ძირ-ფუძის ფონეტიკურ სახეობას) “ნასესხობის” კვალიფიკაციას მივცემთ, მას ჩავაყენებთ სპარსულ, ბერძნულ... ნასესხობათა რიგში, რაც აცდენილი იქნება ლინგვისტიკის სფეროს.

1. სალიტერატურო ქართული ტ ყ ა ვ ფუძის შესატყვისად მეგრულ-ლაზურ მეტყველებაში ტ ყ ე ბ / ტ კ ე ბ / ტ ე ბ ფორმებია წარმოდგენილი. ეტიმოლოგიურ ძიებებში ე < ო პროცესზე მიუთითებენ (ფენრიხი... 2000: 443). ტ ყ ე ბ ფუძეში ო ხმოვნის პირველადობის ვარაუდი თ. გამყრელიძეს აფიქრებინებდა, რომ ბერძნულში სათანადო ფორმა მეგრულ-ლაზურიდან უნდა შესულიყო. შესაპირისპირებელ მასალაში რაკილა სვანური ვარიანტი არ ფიგურირებდა, გ. კლიმოვმა არქეტიპად ტ ყ ა უ აღადგინა, რაც მისი ერთობ საეჭვო თეორიის მიხედვით “ქართულ-ზანური ერთიანობის ხანას” ეკუთვნოდა. ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორებს ყურადღება არ მიუქცევიათ არნ. ჩიქობავას მსჯელობისთვის. მან სუფიქსებად გამოყო ა ვ და ე ბ ელემენტები და მეგრულში ე ბ > ა ბ პროცესი დაუშვა სათანადო ტ ყ -ა ბ -ა რ -ა ნ -ს ფორმის მოშველიებით (ჩიქობავა 1938: 70). სხვა საკითხია, ფუძის საწარმოებელ აფიქსებად გამოიყოფა თუ არა ა ვ და ე ბ, მაგრამ ფუძეთა შეპირისპირებისას ა-ხმოვნის ტ ყ ა ბ ა რ ა ნ ს (ატყავებს) აუცილებლად უნდა მონაწილეობდეს. რაც შეეხება სვანურ მეტყველებას, აქაც დასტურდება სათანადო ტ ყ ე ბ ე რ ა ფორმა („დაუმუშავებელი ტყავისგან შეკერილი საზამთრო ფეხსაცმელი“), რომელიც იმეორებს მეგრულ-ლაზურის ე-ხმოვიან ვარიანტს. ეს ბუნებრივია, რადგან მეგრულშიც სახელური ფუძე ე-ხმოვიანია. ა-ხმოვიანი კი ზმნური ფუძისთვის არის გამოყენებული.

სვანური ფორმები არ ჩანს სხვა შეპირისპირებებშიც:

სალიტერატურო ქართული მ წ უ ი ს ი ; ზანური ჭ ი შ ა ფ ა („დაწევა“), მაგრამ გამოტოვებულია სვანური ე ს ჭ ი შ („მისდევს“);

ც ა რ / ც ე რ ( ც რ ი ს ) ; ზ ა ნ უ რ ი ც ი რ / ც ო რ , მ ა გ რ ა მ ა რ ჩ ა ნ ს ს ვ ა ნ უ რ ი ხ ე ც ი რ ი ;

მ ს გ ა ვ ს ი ვ ი თ ა რ ე ბ ა ა ჭ ე რ / ჭ რ ი ს და ჭ კ ი რ ფ უ ძ ე ბ ე ბ ა ნ . არ არის მოხმობილი სვანური ხ ე ჭ კ უ რ ი ;

კ ე ც : კ ი ჩ („კეცვა“) ვარიანტებს არ ახლავს სვანური ი კ ჩ ე , ი კ ი ჩ ი ფორმები.

ასეთი შემთხვევები იშვიათი არაა.

ცალკე საუბრის თემაა, როცა დასტურდება სვანური და მეგრულ-ლაზური მეტყველებებისთვის საერთო გაფორმების ძირ-ფუძეები, შესაბამისი სალიტერატურო მასალა კი არ ჩანს. საილუსტრაციო ნიმუშები:

სვან. გ ა ნ თ ხ („ცხოველის უკანა ფეხი“) : მეგრ. გ ა ნ თ ხ ი ;

სვან. გ ა უ ^ („ზარალი“) : მეგრ. გ ა ვ ა ლ ი ;

სვან. გ ა ჭ ა („გაძლება, ამტანობა“) : მეგრ. ა ჭ დ ო გ ა ჭ ი თ („ძლივძლოვობით, გაჭირვებით“);

სვან. ხ ე ბ ზ ი / ე ს ბ ი ზ ი („ძღება“) : მეგრ. გ ო ბ ი ზ ი ნ ა ფ ა („ძალიან გაძღობა“; „სიკვდილი“);

სვან. უ ნ თ უ რ ი („უცნობი“) : მეგრ. უ თ უ რ ი („სხვა, არა ოჯახის წევრი, ველური“).

სვანური მასალის შესწავლა ქართველური ენის ისტორიისათვის არაერთ საინტერესო შემთხვევას გამოავლენს.

#### გამოყენებული ლიტერატურა

**თოფურია... 2000:** თოფურია ვ., ქალდანი მ., სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ფენრიხი... 2000:** ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

**ჩიქობავა 1938:** ჩიქობავა არნ., ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938.